პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 180 (5989)

13 სექტემბერი, 1977 წ. სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского, Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

პრეტენდენტთა ნახევარფინალური

მეხუთე პარტია

ტალინი, 12 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ ოფიცერთა სახლში განახლდა ბრძოლა ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში მ. ჩიბურდანიძესა და ე. ახმილოვსკაიას შორის. მეტოქეებმა მეხუთე პარტია გაითამაშეს.

ახმილოვსკაია — ჩიბურდანიძე

სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 d6 3. მc3 მf6 4. d4 cd 5. ლ:d4 მc6 6. კb5 კd7 7. კ:c6 კ:c6 8. კg5 e6 9. 0—0—0 კe7 10. ეhe1 0—0 11. ლd2 ლc7 12. მd4 ეfd8 13. f4 b5 14. ლe2 b4 15. მcb5 კ:b5 16. მ:b5 ლb6 17. მd4 ეac8 18. მფb1 ეd7 19. ეd2 h6 20. კ:f6 კ:f6 21. ეed1 a5 22. მb5 კe7 23. g4 a4 24. h4 ლa6 25. g5 ეc5 26. მd4 ლ:e2 27. ე:e2 hg 28. hg e5 29. მf3 ef 30. e5 კf8 31. ეed2 g6 32. ეd4 ეb5 33. ed ეb6 34. ე:f4 ე:d6 35. ე:d6 ე:d6 36. მფc1 ეd5 37. c4 bc 38. bc a3 39. c4 ეd3 40. მფc2 ეe3 41. მფd2 ეb3. პარტია გადაიდო.

ჩიბურდანიძემ მესამედ აირჩია სიცილიური დაცვა, ოღონდ ამჯერად მოუხდა შევენინგენის სისტემის თამაში, სადაც ჩვეულებრივ თეთრები მძაფრ იერიშს ავითარებენ შავი მეფის პოზიციაზე, შავები კი კონტრთამაშს — ლაზიერის ფრთაზე.

ორივე მეტოქე ცდილობდა განეხორციელებინა სტრატეგიული გეგმა — მათ პაიკები დაძრეს ერთმანეთის მეფის წინააღმდეგ. მეცამეტე სვლაზე ჩიბურდანიძემ პაიკი შესთავაზა ახმილოვსკაიას, მაგრამ კრასნოდარსკელმა დიდოსტატმა არ მიიღო იგი, რადგან ამით მაიას ფიგურებს საიერიშო გზები გაეხსნებოდა. მაგრამ ამ პაიკის წინსვლამ, შეიძლება ითქვას, გაათანაბრა მეტოქეთა შეტევადაცვის შანსი. ახმილოვსკაიამ პაიკები შეუსია შავი მეფის მისადგომებს, ჩიბურდანიძის პაიკებიც მიიჭრნენ თეთრ გვირგვინოსანთან. თამაში უკიდურესად გამძაფრდა.

თბილისელმა მოჭადრაკემ კარგად შეაფასა შექმნილი ვითარება. მან განჭვრიტა, რომ ლაზიერების გაცვლის შემდეგ მისი მუქარა უფრო რეალური იქნებოდა. როცა ლაზიერები გაქრნენ დაფიდან, 28-ე სვლით ჩიბურდანიძემ ცენტრს შეუტია. ახმილოვსკაიამ დროებით დათმო პაიკი. მაგრამ მერე, როცა მატერიალური თანაფარდობა აღდგა, გამოირკვა, რომ ნორჩ პრეტენდენტს უფრო პერსპექტიული თამაში ჰქონდა.

პარტიის დასასრულს ახმილოვსკაია ცაიტნოტში მოექცა. მან დაშალა თავისი გვირგვინოსნის დამცველი პაიკების წყობა, რათა თვით მეფე ჩაება თამაშში. მაგრამ პოზიციაში გაჩნდა სისუსტეები, რითაც მყისვე ისარგებლა ჩიბურდანიძემ. იგი ეტლით შეიჭრა თეთრების განლაგებაში. სიჩქარეში ახმილოვსკაიამ 41-ე სვლაც გააკეთა, რაც მძიმე შეცდომა აღმოჩნდა. მაიამ დაუყოვნებლივ ისარგებლა მომენტით: მან ეტლი შესწირა. ახმილოვსკაია ჩაფიქრდა. ეტლის აყვანას ახალი შავი ლაზიერის გაცოცხლება მოჰყვება, პირიქით კი — პაიკის წაგება. პარტია გადაიდო. 42-ე სვლა ახმილოვსკაიამ ჩაიწერა.

• • •

გუშინ პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიში გახდა 3:2 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ. მეექვსე პარტია ოთხშაბათს, 14 სექტემბერს შედგება. თეთრებით თბილისელი მოჭადრაკე ითამაშებს.

ჭადრაკი

გაუტეხელი ხასიათი

ვის არ გაუტეხავს გულს დიდი ტურნირის პირველსავე ტურში წაგება? სულით ძლიერნი ასე იოლად არ ტყდებიან. ამ რჩეულთა კოჰორტას თურმე ახალგაზრდა ჩელიაბინსკელი ოსტატი ა. პანჩენკოც მიეკუთვნება. მ. ჩიგორინის მემორიალში, რომელიც ამჟამად სოჭში მიმდინარეობს, პანჩენკო პირველივე დღეს დამარცხდა. მაგრამ როდი შედრკა, თუმცა მეტოქეებად გამოჩენილი დიდოსტატები ჰყავს. მან დაუოკებელი ენერგია გამოამჟღავნა. მომდევნო ხუთ ტურში 4,5 ქულა მოაგროვა და ლიდერობა მსოფლიო ექს-ჩემპიონ მ. ტალს (რიგა) გაუყო. ნიჭიერმა ყმაწვილმა სძლია დიდოსტატებს ი. ზაიცევს, ა. სუეტინს და ყაიმით დაამთავრა შეხვედრა მსოფლიო ექს-ჩემპიონ ტ. პეტროსიანთან (სამივე — მოსკოვი).

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან ა. ადორიანი (უნგრეთი), ზაიცევი (4-4), პეტროსიანი, ნ. კროგიუსი (სარატოვი), ნ. რაშკოვსკი (უნგრეთი), სუეტინი (3,5-3,5).

ფიზიკური კულტურის დიდი დღესასწაული ლაიფციგში

როგორც ცნობილია, ამას წინათ ლაიფციგში გაიმართა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ფორუმი — VI სპორტულ-ტანვარჯიშული ფესტივალი და VI ბავშვთა და მოზრდილთა სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს. სპორტის ამ დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად სპარტაკიადის ორგანიზატორებმა საპატიო სტუმრები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან მოიწვიეს. ჩვენი ქვეყნიდან ლაიფციგში ჩავიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის თავმჯდომარე **ს. პავლოვი**, ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს, ევროპისა და ჩვენი ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ციგურებით სრიალში სპორტის დამსახურებული ოსტატი **ი. როდნინა** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. პერტენავა**.

DEUTSCHE DEMOKRATISCHE REPUBLIK
LEIPZIG '77

ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და თხოვა „ლელოს“ მკითხველებისთვის გაეზიარებინა ლაიფციგის შთაბეჭდილებანი.

— **ფიზკულტურა** და სპორტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში სულ უფრო მეტ სოციალურ მნიშვნელობას იძენს. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას უთმობს სპორტს, ყოველმხრივ ხელს უწყობს და მზრუნველობას არ აკლებს მის განვითარებას. საინტერესოა, რომ მიმდინარე სპორტულ ფორუმს უშუალოდ შეფობდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი, რომელმაც დღესასწაულის გახსნისას წარმოთქმულ სიტყვაში, აღნიშნა რა დიდი ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიისთვის, ხაზი გაუსვა ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დიდ მნიშვნელობას სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელი ადამიანების აღზრდის საქმეში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ-ტექნიკური სკოლების მოსწავლეთა და სტუდენტთა ფიზიკური აღზრდა მიმდინარეობს, როგორც საერთო აღზრდის ერთიანი პროცესი. ძირითადად ფიზმოძრაობის გაუმჯობესებასა და ინტენსიფიკაციას აქ აღწევენ ფიზიკური კულტურის სავალდებულო გაკვეთილების პროგრამის ზევით სკოლის გარეშე სპორტული მომზადებით. ამჟამად 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვთა და მოზარდთა 60 პროცენტზე მეტი ვარჯიშობს სასკოლო სპორტულ საზოგადოებებსა და სხვადასხვა სპორტულ კლუბებში სწავლისგან თავისუფალ დროს. ბავშვთა და მოზარდთა სპორტის შემდგომი განვითარების ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია სპარტაკიადების ჩატარება, მასობრიობა. რესპუბლიკის ცენტრალურ სპარტაკიადაში მონაწილეობისთვის გაშლილი მოძრაობა მოიცავს მოზარდთა და ბავშვთა ყოველწლიურ შეჯიბრებებს სპორტის ყველა სახეობაში, ზამთრობით და ზაფხულობით. ეს ასპარეზობები სათავეს იღებს სკოლებში, უბნებსა და ქალაქებში და გრძელდება რაიონებისა და ოლქების დონეზე. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა შორის გამარჯვებული ნორჩი სპორტსმენები მონაწილეობენ გდრ-ის ცენტრალურ სპარტაკიადებში, რომლებიც ორ წელიწადში ერთხელ ეწყობა.

მსგავსი ფორმულით ჩატარებული სპორტული ფორუმები უკვე ათი წელია ეწყობა გდრ-ის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირის, თავისუფალი გერმანელი ახალგაზრდობის კავშირისა და სახალხო განათლების ორგანოების ერთობლივი ხელმძღვანელობით და შედეგებიც, როგორც იტყვიან, სახეზეა.

დღეს უკვე გდრ-ის ყოველი მესამე მოქალაქე რეგულარულად ვარჯიშობს სპორტის რომელიმე სახეობაში, გატაცებულია ტურიზმით. ათასობით ადამიანი არარეგულარულად ვარჯიშობს დასვენების დღეებში, ან შვებულებისას მონაწილეობს მრავალრიცხოვან მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში, რომლებსაც ატარებენ საწარმოებში, საცხოვრებელ ადგილებსა და დასვენების ცენტრებში. ყოველი მეექვსე კაცი გდრ-ის სპორტულ-ტანვარჯიშულ კავშირშია გაერთიანებული. ამ კლუბის 2700000 წევრი ვარჯიშობს სპორტის ყველა სახეობაში და შეჯიბრებებში მონაწილეობს.

(დასასრული მე-2 გვ.).

●

სურათზე: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ერიხ ჰონეკერი შეხვედრის დროს ზეიმის ქალაქ ლაიფციგში გულთბილად მიესალმა სპორტული ზეიმის ახალგაზრდა მონაწილეებს. პოტსდამელმა სტუდენტმა კარინ ფიშერმა (მარცხნიდან მესამე) ერიხ ჰონეკერს ყვავილების თაიგული გადასცა.

დიდი სტარტის წინ...

ხვალ თბილისში დაიწყება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა თანამედროვე ხუთჭიდში. სტარტზე გამოვა ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესი თანამედროვე ხუთჭიდელი. აღსანიშნავია, რომ ამ ასპარეზობის შემდეგ საუკეთესო საბჭოთა ხუთჭიდელები მიემგზავრებიან ოკეანისგაღმა, აშშ-ში, სადაც ოქტომბრის პირველ რიცხვებში მსოფლიო პირველობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა. ასე რომ, თბილისის ტურნირი ერთგვარ გენერალურ რეპეტიციად გვევლინება მსოფლიო პირველობის წინ.

14 სექტემბერს ბრძოლაში ჩაებმებიან რსფსრ-ის, მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ყაზახეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყირგიზეთის, ლატვიის, ლიტვის, ესტონეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდები. შეჯიბრების მთავარი მსაჯია საკავშირო კატეგორიის არბიტრი ი. კონონენკო (მოსკოვი).

აი, ჩემპიონატის განრიგი: **14 სექტემბერი.** ფარიკაობა (ფარიკაობისა და ძალოსნობის დარბაზი). 10 ს.; **15 სექტემბერი.** შეჯიბრების საზეიმო გახსნა, მონაწილეთა პარადი (იპოდრომი). 11 ს.; ცხენოსნობა (იქვე). 12 ს.; **16 სექტემბერი.** ცხენოსნობა (იპოდრომი). 11 ს.; **17 სექტემბერი.** ტყვიის სროლა (ავჭალის სასროლეთი). 10 ს. 30 წ.; ცურვა („ლოკომოტივის“ საცურაო აუზი). 18 ს.; **18 სექტემბერი.** მძლეოსნური კროსი (ლისის ტბის მიდამოები). 12 ს.

თანამედროვე ხუთჭიდი

დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში ჩატარდება თანამედროვე ხუთჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონატის გახსნისადმი მიძღვნილი პრეს-კონფერენცია.

დასაწყისი 19 საათზე.

ტელეტაიპის ლენტიდან

სროლა. შვეიცარიის ქალაქ ვინტერტურეში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი სამი მდგომარეობიდან ნებისმიერი შაშხანის სროლაში. ჩემპიონობა მოიპოვა ბლაგოვეშჩენსკელმა გ. ლუშჩიკოვმა, რომელმაც 1147 ქულა მოაგროვა 1200 შესაძლებლიდან. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი, მოსკოველი ვ. ვლასოვი (1140 ქულა) გავიდა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მსროლელებმა გაიმარჯვეს (4.523).

ბალახის ჰოკეი. ანდიჟანში მიმდინარე ბალახის ჰოკეიში ქალთა საკავშირო ტურნირის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ანდიჟანკა“ და „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი). ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

მოტორბოლა. მაიკოპში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე 500 კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლებით რბოლაში ერთნაირი ქულები დააგროვეს ნოვოსიბირსკელმა ს. ტარაბანკომ და ლენინგრადელმა ვ. სმირნოვმა და I-II ადგილები გაიყვეს. III ადგილზე გავიდა შეჯიბრების დებიუტანტი ა. ლაკიზო (ვლადივოსტოკი), რომელმაც ბევრ ცნობილ ოსტატს აჯობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Gesund und glücklich

ფიზიკური კულტურის დიდი დღესასწაული ლაიფციგში

დასასრული

მოსახლეობის ამ მასას ემსახურება 159000 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, 99200 მსაჯი და სპორტის საზოგადოებრივი შეფების უფრო დიდი კოლექტივი. ყოველწლიურად ასი ათასობით ადამიანი აბარებს ნორმატივებს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" სპორტულ ნიშანზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე უკვე ნათელი და გასაგები უნდა იყოს „საიდუმლოება" იმ მიღწევებისა, რომლებსაც გდრ-ის დიდი სპორტის წარმომადგენლები აღწევენ სხვადასხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშებზე. ამ „საიდუმლოებათა" გაშიფრვა შეიძლებოდა ერთი სიტყვითაც „მასობრიობა". სწორედ ფიზკულტურისა და სპორტის უდიდესი მასობრიობის საუკეთესო დემონსტრაცია იყო სპორტის ის დიდი დღესასწაული, რომელიც ლაიფციგში ვიხილეთ.

სპორტული ფორუმი ლაიფციგის სტადიონთან არსებულ სამიტინგო მოედანზე („ფესტივიზე") 25 ივლისს საღამოთი დაიწყო. იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა, გდრ-ის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ე. ჰონეკერმა გახსნა. საზეიმო გახსნის ლამაზ ცერემონიალში მონაწილეობა მიიღო 60 ათასმა კაცმა. 2000 მომღერალმა და ორკესტრმა შეასრულა საზეიმო ოდა, აგიზგიზდა ფესტივალის ცეცხლი, რომელიც აანთეს ბუხენვალდში, ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ეროვნული მემორიალის კომპლექსზე, რითაც მონაწილეებს მოუწოდეს იყვნენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა ანდერძის ერთგულნი.

ეს შესანიშნავად ორგანიზებული და გაფორმებული ღონისძიება დამთავრდა ფესტივალისა და სპარტაკიადის მონაწილეთა საზეიმო ფიცით, ტანმოვარჯიშეთა ტრადიციული სიმღერითა და ფეიერვერკით.

საყოველთაო აღტაცება დაიმსახურა უზადოდ მომზადებულმა ეგრეთ წოდებულმა „დროშათა საზეიმო პატივისცემამ". ეს ცერემონიალი, რომელიც მოეწყო ძველი რატუშის ისტორიული შენობის ფონზე, ფაქტიურად ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში განსაკუთრებით დამსახურებული კოლექტივებისა და მოწინავე ადამიანების, სპორტული საზოგადოებებისა და კლუბების საყოველთაო აღიარებაა. საპატიო დროშების გადაცემისას იგულისხმება, რომ დაჯილდოებულნი ვალდებულებას კისრულობენ მომავალშიც მიაღწიონ მაღალ შედეგებს სპორტში, კვლავაც განამტკიცონ სპორტული მოძრაობა და ქვეყნის ძლიერება, უფრო მაღლა ასწიონ სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტი და ხელი შეუწყონ ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის გაღრმავებას.

ლაიფციგის მარკტის მოედანზე, ძველი რატუშის შენობასთან გამართულმა ამ ღონისძიებამ დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. მაგრამ მასშტაბურობით, სილამაზითა და დინამიურობით ყველა მოლოდინს გადააჭარბა 30, 31 ივლისს ლაიფციგის ცენტრალურ სტადიონზე მასობრივმა სპორტულმა გამოსვლებმა, რომლებიც მოგვევლინა, როგორც სილამაზისა და მოძრაობის ჰარმონიის, ძალისა და მოქნილობის სინთეზი, სპორტისა და მუსიკის, ცეკვისა და ფერების ურთიერთშერწყმა. ამ გამოსვლებმა ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი გდრ-ის სპორტის ნამდვილ მასობრიობას. ჯგუფური გამოსვლების 14200 მონაწილეს ორგანულად შეუერთდა 12500 ნორჩი სპორტსმენი, რომლებმაც სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე ნაირფერი თავსაფრებით წარმოსახეს სხვადასხვა ლოზუნგები და ემბლემები. ლოზუნგთა შორის იყო ასეთიც: „ჯანმრთელობის, დასვენების, სიცოცხლის სიხარულის, შრომაში მაღალი მაჩვენებლების მისაღწევად, მშვიდობისა და სოციალიზმისთვის — ყველამ მისდიეთ სპორტს!"

ფიზკულტურული ფესტივალის პარალელურად ლაიფციგის შესანიშნავ სპორტულ ბაზებზე უკვე 24 ივლისიდან სტარტი აიღო და 31 ივლისამდე გაგრძელდა ბავშვთა და მოზარდთა ცენტრალური სპარტაკიადა სპორტის 20 ოლიმპიურ სახეობაში.

ცალკე პროგრამით მიმდინარეობდა შეჯიბრებანი მასობრივი სპორტის სახეობებში. პროგრამაში შევიდა კეგლის თამაში, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი. მოეწყო ეგრეთ წოდებული „ცენტრალური გარბენა ერთ საფესტივალო მილზე". ყველა ამ ღონისძიებაში მონაწილეობდა 10000 ბავშვი, ჭაბუკი და ქალიშვილი.

სწორედ მონაწილეთა ასეთმა დიდმა რაოდენობამ და იმან, რომ შეჯიბრებები ტარდებოდა ასაკობრივ ჯგუფებში, განაპირობა სპარტაკიადის გრანდიოზულობა (აქ სრულდება ზაფხულის ოლიმპიადების თითქმის ყველა პროგრამა).

მოასპარეზე სპორტსმენებს დაეთმოთ ლაიფციგის საფესტივალო ქალაქის 50 სპორტული მოედანი და დარბაზი, აგრეთვე, ბერლინის საწყლოსნო სტადიონი და ქალაქ ცვიკაუს ტრასა წყლის სლალომისთვის. შეჯიბრებებს ემსახურებოდა მსაჯების, კინო-ტელეოპერატორების, ჟურნალისტებისა და სხვა პროფესიათა ადამიანების მთელი არმია, რომლებმაც დიდად შეუწყეს ხელი, აგრეთვე, ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული საერთაშორისო შეჯიბრებებისა და კულტურული პროგრამის მაღალ სპორტულ და ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებას. საერთაშორისო შეჯიბრებათა პროგრამაც მრავალფეროვანი და მეტად საინტერესო გამოდგა. ეს იყო გდრ-ისა და საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა, საჩვენებელი გამოსვლები სპორტულ ტანვარჯიშში, შეჯიბრება მძლეოსნობაში, ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში და ველოსპორტში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის თვალსაჩინო სპორტსმენებმა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია კულტურული ღონისძიებანი. მეტად შთამბეჭდავი იყო ლაიფციგის მარკტის მოედანზე გერმანიის სახალხო არმიის ერიჰ ვეინერტის სახელობის ცენტრალური ანსამბლის მიერ შესრულებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა დევიზით „ეს ჩვენი გზაა". მრავალრიცხოვან ღია ესტრადებსა და დარბაზებში გაიმართა კონცერტები ქვეყნის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ლაიფციგის ბაზრობათა პავილიონებში მოეწყო სკულპტურის, გრაფიკისა და ფერწერის გამოჩენილი ოსტატების ნამუშევართა სპორტული ფოტოგრაფიის გამოფენები, ცალკე გამოფენა — „ხელოვნება და სპორტი" და ა. შ.

დღესასწაულს მშვენება შემატა გრანდიოზულმა პარადმა, რომლის 45000 მონაწილეთა შორის იყვნენ საქვეყნოდ აღიარებული სპორტსმენები — ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები, აგრეთვე, სპარტაკიადისა და ფესტივალის პრიზიორები, ფიზკულტურული აგიტჯგუფების მონაწილეები... გეორგი-რინგის საქალაქო რგოლზე საპატიო სტუმართა ტრიბუნას მათ რვა დიდ კოლონად მტკიცე სპორტული ნაბიჯით ჩაუარეს და დატოვეს სიჩაუქისა და სილამაზის ისეთი წარუშლელი შთაბეჭდილება, რომელიც მხოლოდ ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს ძალუძთ...

ამ შესანიშნავი სანახაობის ერთგვარ ლოგიკურ დასასრულს, მთელი ფესტივალისა და სპარტაკიადის დამამთავრებელ აკორდს წარმოადგენდა საზეიმო ფინალი ლაიფციგის სტადიონზე, რომელიც 31 ივლისს საღამოს გაიმართა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო ის ჭეშმარიტება, რომ მხოლოდ თავისუფალ, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებას შეუძლია მიაღწიოს ადამიანის ჰარმონიული განვითარების საუკუნო იდეალს.

საუბარი ჩაიწერა ა. ბარქაიამ.

• • •

სურათებზე: ოლიმპიურმა ჩემპიონმა მარგიტა გუმელმა (შუაში წინა პლანზე) ფესტივალის ჩირაღდანი გადასცა ოლიმპიურ ჩემპიონს კლაუს კიოსტეს (მარჯვნივ), რომელმაც ფიალა აანთო; სპორტსმენთა ჯგუფური გამოსვლები; საპატიო სტუმართა ლოჟაში; მოლოდინით სავსე სიხარული აღბეჭდვიათ ამ ნორჩ მონაწილეებს სახეზე; ახალი სავარჯიშო ელემენტებით გამოვიდა სპარტაკიადის გამარჯვებული რგოლებზე ბერლინელი პელგერ ცეიგი.

სასიხარულო ცოტაა

როგორც ცნობილია, ოქტომბრის ბოლოს საქართველოს დედაქალაქი მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა საკავშირო ფორუმს უმასპინძლებს. ეს შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე ტარდება.

ამ შეჯიბრებისთვის მზადების ნიშნით ჩატარდა მშდ-ს მრავალჭიდელთა თბილისის პირველობა, რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა. ასპარეზობისთვის კარგად მოემზადნენ „ლოკომოტივის" სტადიონისა (დირექტორი გ. კავთიაშვილი) და საცურაო აუზის (დირექტორი გ. ნიორაძე) მესვეურები.

ასპარეზობაში ყველა რაიონის გუნდი ჩაება. რა გვირგვინა კვირას დამთავრებულმა შეჯიბრებამ? მონაწილეების რაოდენობა წინა წელთან შედარებით თითქმის ერთნახევრით გაიზარდა. ამასთან, შარშან თუ თავის გუნდს მხოლოდ თერთმეტმა მონაწილემ მისცა ჩათვლა, ახლა ამ ციფრმა 20-მდე მიაღწია. თუ შარშანდელ შეჯიბრებასთან გავავლებთ პარალელს, კიდევ ერთ წინგადადგმულ ნაბიჯს დავინახავთ: შარშან 80 ქულა მხოლოდ სამად-სამმა მონაწილემ მოაგროვა. ახლა კი — 16-მა.

ჩვენდა სავალალოდ, ეს ყველაფერი წვეთია ზღვაში. ნაკლოვანებები კვლავინდებურად გამოვლინდა. მაგალითად, საქარხნო რაიონიდან, რომელსაც დებულებით გუნდში 24 კაცი უნდა ჰყოლოდა, შეჯიბრებაში სამი მონაწილე ჩაება.

1 საფეხურის პროგრამით ცურვაში 18 მოსწავლე უნდა ჩაბმულიყო, სტარტზე კი მხოლოდ 8 გამოვიდა. აქვე იყო მძლეოსნურ კროსში, სადაც ოცის ნაცვლად მხოლოდ ცხრა ჩაება ბრძოლაში. იგივე სურათია ამავე სახეობაში III საფეხურის პროგრამით, სადაც 62-ის ნაცვლად 37-მა აიღო სტარტი.

კიდევ შეიძლებოდა მსგავსი ფაქტების ჩამოთვლა, მაგრამ იგი შორს წაგვიყვანს.

ვინც შეჯიბრებაში ჩაება, მათმა დიდმა უმრავლესობამ, რბილად რომ ვთქვათ, უფერული შედეგები აჩვენა. მაგალითად, ტყვიის სროლაში 96 მონაწილიდან ნორმატივი მხოლოდ 35 შეასრულა. ცურვაში 104 კაციდან 84 შესწვდა მოთხოვნათა მინიმუმს...

პირველი მაისისა და 26 კომისრის სახელობის რაიონებმა კი საერთოდ ვერ მიიღეს ჩათვლა.

შეჯიბრებაში შედარებით კარგად მომზადებული გუნდებით ჩაებნენ ორჯონიკიძისა და ოქტომბრის რაიონის წარმომადგენლები, რომლებიც სპორტულ შედეგებთან ერთად მაღალი ორგანიზებულობითაც გამოირჩეოდნენ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, ისინი ძირითადად უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებით გაავიდნენ ფონს.

ასე იყო თუ ისე, I ადგილი ორჯონიკიძის რაიონმა მოიპოვა — 1024 ქულა. მეორე იყო ოქტომბრის (178 ქ.) ხოლო მესამე — ლენინის რაიონის (163) გუნდები.

დასასრულ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საკავშირო პირველობაში ძირითადად თბილისელები იასპარეზებენ და ამიტომ დროულად უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები, ნაკრები კოლექტივის მაღალ დონეზე მომზადებისთვის.

დ. კინწურაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '77

განვლილ შაბათ-კვირას შედგა უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო“ კ. — „ტორპედო“ 3:1. ეს იყო ტურის ცენტრალური მატჩი. შეხვედრის პირველ ნახევარში მეტოქეთა ძალები დაახლოებით თანაბარი გამოდგა და ტაიმიც ფრედ დამთავრდა — 1:1 (კიეველმა ბურიაკმა და ტორპედოელმა იურინმა გოლები პენალტებით გაიტანეს). შემდგომში კიეველებმა შესანიშნავად ითამაშეს და კოლოტოვისა და ბლოხინის მიერ გატანილი 2 გოლის მეოხებით დამსახურებულად გაიმარჯვეს.

„დინამო“ მ. — „ლოკომოტივი“ 0:2. დინამოელები საპრიზო ადგილის პრეტენდენტები არიან, მაგრამ ამ მატჩში „ლოკომოტივი“ უკეთ გამოიყურებოდა. ანგარიში 38-ე წუთზე გახსნა ავერიანოვმა, ხოლო 44-ე წუთზე გ. ნოდიამ მეორედ აიღო დინამოელთა კარი.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია:

„შახტიორი“ — „ჩერნომორეცი“ — 0:0.

„ზარია“ — „კარპატი“ 1:1.

„ქაირათი“ — „არარატი“ 0:0.

„კრილია სოვეტოვი“ — „ზენიტი“ 1:3.

ცსკა — „დნეპრი“ 2:1.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინ.“ კ.	22	9	12	1	38—11	30
„დინ.“ თბ.	22	9	11	2	32—19	29
„დინ.“ მ.	22	7	12	3	28—17	26
„შახტიორი“	22	8	9	5	21—15	25
„ზენიტი“	22	7	10	5	27—21	24
„ლოკომ.“	20	7	10	3	20—16	24
„ტორპედო“	21	7	9	5	19—17	23
„ქაირათი“	22	5	12	5	23—24	22
„არარატი“	22	6	10	6	22—23	22
„ნეფთჩი“	22	4	12	6	19—26	20
„ჩერნომ.“	22	7	6	9	22—31	20
ცსკა	21	4	12	5	21—30	20
„ზარია“	22	6	7	9	19—17	19
„დნეპრი“	22	7	5	10	19—25	19
„კარპატი“	22	4	10	8	18—22	18
„კრ. სოვეტ.“	22	1	5	16	12—46	7

შემდგომ ტურში

საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩებში ერთმანეთს ხვდებიან:

17 სექტემბერი
„ლოკომოტივი“ — „ზენიტი“.

18 სექტემბერი
„ტორპედო“ — „კარპატი“
„დინამო“ კ. — „დინამო“ მ.
„დინამო“ თბ. — „არარატი“
„ქაირათი“ — „ნეფთჩი“
„დნეპრი“ — „ჩერნომორეცი“
„შახტიორი“ — „ზარია“.

19 სექტემბერი
ცსკა — „კრ სოვეტოვი“.

საკავშირო ზონალური

გეგეჭკორი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ დაიწყო საკავშირო ზონალური გათამაშება ფეხბურთში „ოქროს თავთავის“ თასზე, რომელშიც მონაწილეობს რსფსრ-ს, უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 5 კოლექტივი.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს კოლმეურნე ფეხბურთელთა ღირსებას იცავს გეგეჭკორის გუნდი. 1 ტურში გეგეჭკორელთა მეტოქე იყო რსფსრ-ს კოლექტივი. მასპინძლებმა დიდი უპირატესობით ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 4:0.

უკრაინისა და სომხეთის გუნდების შეხვედრაში წარმატება წილად ვდათ უკრაინელებს — 2:0.

გ. აკობაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

პირობებს კარნახობს ვითარება

ბაქო. 10 სექტემბერი. ვ. ი. ლენინის სახელობის რესპუბლიკური სტადიონი. „ნეფთჩი“ (ბაქო) — „დინამო“ (თბილისი) 1:1 (1:0).

„ნეფთჩი“ — კრამარენკო, ყულიევი, ორუჯევი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ტ. აბასოვი, ჯავადოვი (ალი-ზადე), რახმანოვი, ალიევი, შიხლაროვი (ხუდიევი), სმოლნიკოვი.

„დინამო“ — გოგია, კოსტავა, კანთელაძე, ხიზანიშვილი, მუჯირი, გ. მაჩაიძე (დარასელია), მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, კოპალეიშვილი (შენგელია).

მსაჯი ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს ალიევმა (10), მ. მაჩაიძემ (63).

ვითარება კი ისეთი იყო, რომ ამ მატჩში ორი ქულის დაკარგვის უფლება არც „დინამოსა“ და არც „ნეფთჩის“ არ ჰქონდათ. ბაქოელი ფეხბურთელები კარგა ხანია ქულას-ქულაზე აკოწიწებენ, რათა როგორმე შეინარჩუნონ ხუთი წლის წვითა და დაგვით მოპოვებული ადგილი უმაღლეს ლიგაში. სპეციალისტების აზრით ასეთ გარანტიას 27 ქულა იძლევა. სწორედ ამ ციფრს ებღაუჭება ხუთი თუ ექვსი კოლექტივი და მათ შორის „ნეფთჩიც“. სხვა საზრუნავი აქვს „დინამოს“. ჩემპიონატის დამთავრებამდე რვა ტურით ადრე ალბათ დიდი გამბედაობა არ უნდა იმის თქმას, რომ ჩვენი ფეხბურთელები როგორც მინიმუმი ვერცხლს მოიპოვებენ. ოქროსთვის ბრძოლაც ახლაღა იწყება. ამ სიტუაციაში ერთადერთი დამარცხებაც კი ძალზე გაართულებს ყველაფერს. ასე რომ მატჩის დაწყებამდე თითო ქულაზე იქნებ ორივე გუნდიც იყო ყაბულს, მაგრამ შეხვედრისადმი დიდმა ინტერესმა, გადაჭედილი ტრიბუნების მხარდაჭერამ და გულშემატკივართა წინაშე შელახულმა თავმოყვარეობამ (უნდა ითქვას, რომ თბილისელთა ერთობ მშვიდობიანმა დებიუტმაც) „ნეფთჩი“ აგრესიული თამაშისთვის განაწყო.

ბაქოელთა თავდასხმის ლიდერს სმოლნიკოვს სიამოვნებით აუბეს მხარი შიხლაროვმა და ჯავადოვმა. სტუმართა კარისკენ იწევს ალიევიც. მინდორზე თითქმის არ ჩანს თბილისელთა ნახევარდაცვა, ხიზანიშვილი ყოველნაირად ცდილობს, მაგრამ თანდათან ძნელდება სმოლნიკოვის შეჩერება. თავისიანებს სავსებით მოსწყდნენ ყიფიანი და გუცაევი. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მეათე წუთზე ბურთი „დინამოს“ კარში აღმოჩნდა. რა თქმა უნდა, ნებისმიერი გოლი ერთი ან რამდენიმე ფეხბურთელის შეცდომის შედეგია (ამით სრულებითაც არ კნინდება თავდამსხმელთა დამსახურება), მაგრამ მთავარი მაინც ის კანონზომიერებაა, რაც ამ შეცდომას გარდაუვალს ხდის. ბაქოს მატჩში ვეღარ გაამართლა ალმაათელებთან ნაცადმა ტაქტიკამ — ამ დღეს კოპალეიშვილს რამდენამე გამიზნული მოქმედებისთვის არც საშუალება ჰქონდა და არც დრო. ის კი არა, ვახტანგი სულ მალე იძულებული გახდა დაცვის ცენტრს მიხმარებოდა. მისი ფუნქციები ნაწილობრივ გ. მაჩაიძემ იკისრა. ბოლო ხანებში გოჩა ძალზე სასარგებლოდ თამაშობს. ასე იყო ბაქოელებთან შეხვედრაშიც. და მაინც, გადამწყვეტი სიტყვა დინამოელთა კაპიტანს უნდა ეთქვა — ერთობ მომძლავრებულ მეტოქის ნახევარდაცვას შეკავება ესაჭიროებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცენტრისთვის ბრძოლა პირველ ტაიმში „დინამომ“ მაინც წააგო, ამ სახელდახელო ცვლილებებმა (იძულებითმა) მეოცე წუთიდან მოყოლებული თანდათან გაანელა „ნეფთჩის“ ენთუზიაზმი.

მეორე ტაიმი (კოპალეიშვილი შეცვალა შენგელიამ, შიხლაროვი — ხუდიევმა) თბილისელთა იერიშებით დაიწყო. ახლა უკვე მასპინძლები მიმართავენ სასწრაფო ზომებს. გოგიას კარის სიახლოვეს მხოლოდ სმოლნიკოვიღა დარჩა. მინდვრის შუაგულში დაჯგუფებულ მეტოქე ნახევარმცველთა ბრძოლის სასწორი ქართველი ფეხბურთელების მხარეს იხრება. მანუჩარ მაჩაიძე იოლად უსწორდება ალიევსა და აბასოვს, მოუმატა ქორიძემ, როგორც იქნა, ხელი გამოიღო თავდასხმამაც. ისევ განმეორდა პირველი ტაიმის სიუჟეტი, თუმცა ახლა თბილისელთა კარნახით — 63-ე წუთზე მ. მაჩაიძის ძლიერად დარტყმულ ბურთს კრამარენკომ (თითქმის უშეცდომოდ ჩაატარა მთელი მატჩი, რასაც ვერ ვიტყვით დინამოელთა გოლკიპერზე) ვეღარაფერი მოუხერა. ამაზე უკეთესს ფორტუნა მართლაც ვერაფერს მოიფიქრებდა — მანუჩარი ნამდვილად ღირსი იყო თბილისელთა ერთადერთი გოლის ავტორობისა.

ამ წუთიდან ორივე გუნდი მოპოვებულ თუ შემორჩენილ ქულაზეღა ზრუნავს. დინამოელთა თანხმობის საბუთი ბურთის ნელი გათამაშება და იერიშობანაზე ხელის აღებაა, ხუდიევისა და ალი-ზადეს მცველებად განპიროვნება კი „ნეფთჩის“ მშვიდობიან განწყობილებაზე ლაპარაკობს. და მაინც, მატჩის მიწურულს იყო წუთები, როცა როგორც ერთ, ისე მეორე კართან კვიმატად ატრიალდა ბურთი, მაგრამ არესის ამ წამიერ გაღიმებას ლოგიკური საწყისი არ ჰქონდა, და ბუნებრივია, ვერც გაგრძელება ჰპოვა.

თქმა არ უნდა, ეს მატჩი „დინამოსთვის“ საუკეთესოთაგანი, ან თუნდაც კარგი არ ყოფილა. გუნდის შედარებით უფერული (ჭადრაკში ყაიმზე თამაშს რომ ეძახიან) თამაში ნაწილობრივ სატურნირო მდგომარეობამაც განაპირობა. თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ. თბილისელთა ასეთი ტაქტიკა „ინტერის“ სახით მოვლენილი იტალიური წინალობითაც შეიძლება აიხსნას. „ნეფთჩთან“ შეხვედრაზე „დინამოს“ უფროსმა მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა კითხვაზე, განსაზღვრულია თუ არა გუნდის შემადგენლობის თუნდაც მილანური ვარიანტიო, ასე თქვა: „ჯერჯერობით ტრავმის მიზეზით თბილისის „დინამოს“ პასივში ოთხი ფეხბურთელია. არ არის გამორიცხული, რომ ბაქოს მატჩმა ეს რიცხვი კიდევ გაზარდოს“. ამ სიტყვების თუნდაც ნაწილობრივი გამართლება „ინტერთან“ თამაშის რაღაც ვარიანტზე ფიქრსაც კი, ბუნებრივია, უსარგებლოს გახდიდა.

ვფიქრობთ, 10 სექტემბრის მატჩზე საუბრისას სრულებით არ არის საჭირო არც მეტისმეტი კირკიტი, არც „არამკითხე დამცველის“ მანტიაში გახვევა — იმ მშვენიერი ქართული ანდაზისა არ იყოს, როგორც გიჭირდესო...

ი. ბერიაშვილი.

ბაქო — თბილისი.

* * *

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მატჩის წინ; გარღვევაზეა რ. შენგელია; გ. მაჩაიძე უტევს მეტოქის კარს.

გ. დოლენჯაშვილის ფოტოები.
(ჩვენი სპეც. კორ.).

მეორე ლიგა

11 სექტემბერს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის კალენდარული შეხვედრები.

„დინამო“ (ბათუმი) — „დინამო“ (ზუგდიდი) 6:1

ბათუმელმა ფეხბურთელებმა ბოლო შეხვედრებში რამდენიმე წარუმატებლობა განიცადეს და ამიტომ სასწრაფო ზომები მართებდათ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მათ ამ დღეს ყველაფერი გააკეთეს ზუგდიდელ თანაკლუბელებთან მატჩში და საუკეთესო თამაშიც აჩვენეს მაყურებლებს.

მასპინძლებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი შეხვედრის მსვლელობაში. მათ შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი თავდამსხმელმა გორგილაძემ, რომელიც სათავეში ედგა თავისი პარტნიორების შეტევებს და საკუთრივ 4 ბურთიც გაიტანა მეტოქის კარში. დანარჩენი 2 გოლის ავტორები არიან კაკალაძე და შელია.

ზუგდიდელთაგან ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა 11-მეტრიანი დარტყმით შეძლო ნაჭყებიამ.

გ. მურვანიძე.
(ტელეფონით).

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „გასტელო“ (უფა) — „სპარტაკი“ (თბილისი) 1:2, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 1:0, „დინამო“ (კიროვი) — „დინამო“ (სოხუმი) 1:0, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „შირაკი“ (ლენინაკანი) 3:0, „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) — „გურია“ (ლანჩხუთი) 0:1, „დინამო“ (მახაჩყალა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი) 2:1, „ზენიტი“ (იჟევსკი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 2:0, „სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 3:1, „დრუჟბა“ (მაიკოპი) — „არაზი“ (ნახიჩევანი) 3:0, „სოკოლი“ (სარატოვი) — „დილა“ (გორი) 2:0.

„ნადიკვარის“ წარმატება

გასულ შაბათს დაიწყო ფიზიკური კულტურის კოლექტივების საკავშირო თასის გათამაშება ფეხბურთში, ე. წ. „მილიონთა თასი“.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს თასის მფლობელმა — თელავის „ნადიკვარმა“ სტარტი აიღო თავის მინდორზე მაკეევკის „კიროვეცთან“ შეხვედრით.

მატჩმა, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია ფეხბურთის მოყვარულთა შორის, [illegible] დაძაბულ, უკომპრომისო ბრძოლაში საერთო უპირატესობა თელაველებს ჰქონდათ, მაგრამ მათ ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მათ შორის პენალტიც: „კიროვეცის“ მეკარემ შეძლო რ. ცირეკიძის დარტყმის აღება.

საჭირო შეიქმნა დამატებითი დროის დანიშვნა. მხოლოდ მეოთხე ტაიმში მიაღწიეს თელაველმა ფეხბურთელებმა წარმატებას, როცა გადამწყვეტი გოლი მაკეევკელთა კარში გაიტანა გ. [illegible].

ს უ რ ა თ ზ ე: გოლი „კიროვეცის“ კარში.

მ. ზარგარიანის ტექსტი და ფოტო.

UNIVERSIADE
SOFIA
1977

„იგიტშურის" ჰანგის თანხლებით

წინა თავში ვწერდით, რომ 24 აგვისტომდე საქართველოს წარმომადგენლებმა ვერც ერთი მედალი ვერ მოიპოვეს. ამას უბრალო ახსნა აქვს — ამ დღემდე შეჯიბრებანი სწორედ იმ სახეობებში დამთავრდა, რომლებშიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები არ გამოდიოდნენ. მაგრამ აი, დადგა 24 აგვისტოც და იგი გადაიქცა, შეიძლება ითქვას, საქართველოს დღედ. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ერთი ოქროს, ორი ვერცხლის და ორიც ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

უნივერსიადის ჩემპიონზე უკვე გვქონდა საუბარი, ახლა კი დანარჩენებზე მოგითხრობთ. მიხეილ სალაძით დავიწყოთ.

იგი მოსკოვის უნივერსიადის ჩემპიონია კლასიკურ ჭიდაობაში. ახლაც ახლოს იყო სანუკვარ მიზანთან, მაგრამ...

თუმცა, სჯობს თანმიმდევრულად მივყვეთ სოფიაში საბჭოთა „კლასიკოსების" გუნდის კაპიტნის გამოსვლებს. იგი 100 კგ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. პირველ წრეში სალაძის წინააღმდეგ საბრძოლველად მეტოქე არ გამოცხადდა და, ბუნებრივია, მის აქტივში პირველი გამარჯვება ჩაწერეს. მეორე წრეში მიხეილი მომავალ ჩემპიონს, ბულგარელ პეტკოვს შეხვდა. ორივემ სამ-სამი გაფრთხილება მიიღო და ორივეს წაგება ჩაეთვალა. მესამე წრეში ქართველი ფალავნის პირისპირ რუმინეთის წარმომადგენელი სავინი დადგა. შერკინება დაწყებულიც არ იყო, რომ მსაჯმა სალაძის ხელი მაღლა აღმართა. სალაძემ ასევე შერკინების პირველსავე წამებზე ბეჭებზე გააკრა უნგრელი ბოდო. ამით დამთავრდა მოსკოვის უნივერსიადის ჩემპიონის გამოსვლა „ფესტივალნის" დარბაზში. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა ბოდოსა და პეტკოვის შეხვედრა. პეტკოვს მხოლოდ სუფთა გამარჯვება აძლევდა ხელს. მაშინ მას და სალაძეს თანაბარი საჯარიმო ქულები უგროვდებოდათ, მაგრამ უპირატესობა ბულგარელს ექნებოდა, რადგან პირველ წრეში ჩვენს მოჭიდავეს მეტოქე არ გამოუცხადდა.

და აი, გადამწყვეტი ბრძოლა — ბოდო — პეტკოვი. ნერვიულობისგან ადგილს ვეღარ ვპოულობთ. სალაძე ხომ ღელავს და ღელავს. ბოდომ როგორმე უნდა გაძლოს, როგორმე სუფთად არ უნდა დამარცხდეს. ჯერ საქმე არც თუ ცუდად მიდიოდა: უნგრელმა ფალავანმა აქტიურად შეუტია მეტოქეს. აი, მან მარწუხებში მოიქცია პეტკოვი, წამიც და, თითქოს სადაცაა მეტოქეს ბეჭებზე გააკრავს. მაგრამ, მოულოდნელად, თვითონ აღმოჩნდა ბეჭებზე.

ოქროს მედალი პეტკოვს დარჩა, ვერცხლი — სალაძეს, ხოლო ბრინჯაოსი — ბოდოს.

ავთანდილ მაისურაძე. იგი 100 კილოგრამზე მძიმე წონაში გამოდის. მისი პირველი მეტოქე მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი, ბულგარელი ტომოვი.

ეს ბრძოლა მე არ მინახავს, მაგრამ ერთმა ბულგარელმა მითხრა: „თქვენი მოჭიდავე ტომოვის ტიტულებმა შეაკრთო და 3:6-ზე დამარცხდა. არადა, თქვენი თანამემამულე ძალიან მომეწონა და გამარჯვებაც შეეძლო".

არ ვიცი, რამდენად გულწრფელად იყო ნათქვამი ეს სიტყვები, მაგრამ, როდესაც ტომოვის დანარჩენი ბრძოლები ვნახე, მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ დატოვა მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა.

აი, საბჭოთა კავშირის აბსოლუტურმა ჩემპიონმა მაისურაძემ კი დიდებულად ჩაატარა მომდევნო შეხვედრები. მან 4 წუთში ჯერ რუმინელ დოლიბკისთან მოათავა საქმე, შემდეგ გოლიათი ამერიკელი ზიგნერი შეხვედრის პირველსავე წუთზე ბეჭებით გააკრა ხალიჩას.

საბოლოოდ ამერიკელს „ბრინჯაო" ხვდა წილად. „ვერცხლი" ქართველ ფალავანს, ხოლო „ოქრო" — ბულგარელს.

თემურ აფხაზავამ (82 კგ) „ფესტივალნის" დარბაზიდან „ბრინჯაო" წამოიღო. აი, მისი გზა ბრინჯაოს მედლამდე: ამერიკელ ჯონსთან გამარჯვება — 17:6. II წრეში ისვენებდა; III წრეში კვლავ გამარჯვება, ამჯერად სუფთად ფრანგ ბუშულთან; IV წრეში — მარცხი ბულგარელ ივანოვთან — 3:4. V წრეში კვლავ მარცხი, კვლავ მინიმალური ანგარიშით — 4:5 — რუმინელ დრაიცასთან.

შეჯიბრების შემდეგ აფხაზავამ გვითხრა, ბულგარეთის ხალიჩაზე აღარასოდეს გამოვალ, თორემ IV ადგილს დავიკავებო. გაოცება რომ შეგვატყო, განგვიმარტა: ბულგარეთში პირველად 1975 წლის იუნიორთა მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვედი და ყველას ვაჯობე. მეორედ შარშან ვეწვიე ბულგარეთს — პეტროვის სახელობის ტურნირში და II ადგილი დავიკავე. ახლა, უნივერსიადაზე — III ადგილი მხვდაო, — გვითხრა ერთობ დაღონებულმა.

მაშინ თემურს ვუთხარი და ახლაც ვეტყვი, გჯეროდეს შენი თავისა.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

(დასასრული იქნება)

• • •

სურათებზე: ქართველი ფალავნები მ. სალაძე (მარცხნივ) და თ. აფხაზავა უნივერსიადაზე გაცნობილ ჩეხოსლოვაკიელ კალათბურთელებთან დ. ლენარტოვასთან (მარცხნივ) და ი. პოიეროვასთან ერთად; მსოფლიოს შვიდგზისა და ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონს თავისუფალ ჭიდაობაში ა. მედვედს (ცენტრში) ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. ახლაც იგი თავისი ერთ-ერთი საინტერესო ბრძოლის შესახებ უამბობს საბჭოთა „კლასიკოსებს" მ. სალაძესა და ვ. ავდიშევს; თ. აფხაზავა ფრანგ რ. ბუშულთან შეხვედრის დროს. წამიც და ქართველი მოჭიდავე წმინდა გამარჯვებას იზეიმებს.

ავტორის ფოტოები.

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 176, 177, 178, 179.

დამარცხება შინ

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 10 სექტემბერი. „ელვა" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი) 0:6 (0:6).

„ელვა": სანებლიძე, კოტრიკაძე, რეხვიაშვილი (დადეშქელიანი), ურუშაძე, ჭანკოტაძე, ვაზაგაშვილი, შავდია, რამიშვილი, გორგოძე, კემულარია, მენაბდე, ეკალაძე, ბახტაძე, ბერაძე, აბაშიძე.

„სლავა": პოზდნიაკოვი, კოროტაევი, გუსევი, არხიპოვი, ბოგდანი, ეპიფანოვი, ბარზარიუში, კოჟინი, ბელკოვიჩი, გრაჟდანი, სიგაევი, ნოვიკოვი, ბერზინი, ლისოვი, კუზუკინი.

მსაჯი რ. ივანიუხინი (ლენინგრადი).

გასულ შაბათს მორიგ კალენდარულ მატჩში „ელვამ" მიიღო ქვეყნის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი — მოსკოვის საათების გაერთიანება „სლავას" რეგბისტთა კოლექტივი.

4 სექტემბერს „სლავამ" თბილისის მეორე კოლექტივს — „ლოკომოტივს" უმასპინძლა. ეს შეხვედრა ძალზე არაობიექტურად ჩაატარა მოსკოველმა არბიტრმა ვ. კალინინმა. მატჩს თბილისელები იგებდნენ (9:3). მსაჯის „დახმარებით" მოსკოველებმა თავიანთ სასარგებლოდ შეცვალეს ანგარიში — 10:9. არბიტრს, რომელმაც თითქმის ჩაშალა მატჩი, სეზონის ბოლომდე აეკრძალა მსაჯობა.

თბილისში „სლავა" 22 ქულით ჩამოვიდა. მას მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს ლიდერი — სამხედრო-საჰაერო აკადემიის (სსა) გუნდი. აქაც განმეორდა მოსკოვის მაგალითი. ლენინგრადელმა მსაჯმა რ. ივანიუხინმა აშკარა მიკერძოება გამოიჩინა. მან თბილისელებს ორჯერ არ ჩაუთვალა „დამიწება", ხოლო პირველი ნახევრის დასასრულისთვის არ აღნუსხა მოსკოველთა წინ თამაში („ოფსაიდი") და თბილისელთა ჩათვლის მოედანი ალებულად ჩათვალა, (სტუმრებმა რეალიზაციაც გამოიყენეს). თბილისელთა აშკარა უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ნახევარიც, მაგრამ ანგარიში 6:0 („სლავას" სასარგებლოდ) არ შეცვლილა. მატჩის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა ვ. აბაშიძეს და ს. ეკალაძეს მეტად ხელსაყრელი წერტილიდან საჯარიმოები რომ გაეტანათ. „ელვამ" დაკარგა საჭირო 2 ქულა და საბოლოოდ ხუთეულში გასვლის შანსი.

ამ ტურში კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა სსა-მ. მან დაამარცხა მოსკოვის „ლოკომოტივი" (12:4) და 25 ქულით განაგრძობს ლიდერობას. მოსკოვის „ფილიმ" მოუგო კიევის „სპარტაკს" — 13:0. აუტსაიდერთა დავაში ლენინგრადის „პრიმორეცმა" სძლია ნალჩიკის „უნივერსიტეტს" — 35:0.

დ. თაქთაქიშვილი.

რეგბი

ქუთაისი, 12 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). I ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „სახლმშენი" და მოსკოვის „ავტომობილისტი".

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 4:0.

ჯილდოც, წოდებაც

მახაჩყალაში დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში ცნობილი მოჭიდავის ალი ალიევის პრიზზე შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ რუმინეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ისა და პოლონეთის გუნდები, ჩვენი ქვეყნის სოფლის სპორტსაზოგადოებათა ნაკრები.

90 კგ წონით კატეგორიაში წარმატებით იასპარეზა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სტუდენტმა გ. ყურაშვილმა (სოხუმი, „კოლმეურნე"). ქართველი მოჭიდავის მეტოქეებს შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი რუმინელი იორგა, გერმანელი მერინგი და სხვები. 18 წლის სოხუმელმა ათლეტმა საპატიო ჯილდოსთან ერთად სპორტის ოსტატის წოდებაც დაიმსახურა.

კალათბურთი

ვლადივოსტოკი, 12 სექტემბერი. ნოვოსიბირსკის „დინამოს" კალათბურთელ ქალთა კოლექტივმა გაიმარჯვა ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის თასის გათამაშებაში და უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. მათ ფინალურ ტურნირში 10 შესაძლებლიდან 10 ქულა მოაგროვეს.

თბილისში ერთ კვირას იყო სტუმრად პოლონეთის ქალაქ ლუბლინის მ. კიური-სკლადოვსკაიას სახელობის უნივერსიტეტის ქალთა გუნდი. ისინი პოლონეთის კალათბურთელთა პირველობაზე პირველ ლიგაში გამოდიან. პირველ მატჩში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებთან თანაბარ ბრძოლაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 70:62. მეორე შეხვედრა მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდთან ჰქონდათ. პოლონელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს ინიციატივა და თამაშის ბოლომდე არ გაუშვიათ ხელიდან. შედეგად მოგება — 68:45, მესამე, დასკვნით მატჩში სტუმრები შეხვდნენ თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდს, რომელიც საკავშირო პირველობის პირველ ლიგაში გამოდის. მძაფრი ბრძოლა მხოლოდ პირველ ტაიმში გაჩაღდა, როცა მასპინძლები სამი ქულით დაწინაურდნენ — 30:27. შესვენების შემდეგ თბილისელები შესამჩნევად გააქტიურდნენ და გაიმარჯვეს — 72:58.

ევროპულ ტურნირებზე

●

დიდი ინტერესი თასების მფლობელთა თასისადმი

თასების მფლობელთა თასის გათამაშება მიმდინარეობს 1961 წლიდან. პირველ ასეთ შეჯიბრებაში გაიმარჯვა „ფიორენტინამ" (იტალია).

მომდევნო ლაურეატების სია კი ასეთია: 1962 წელი — მადრიდის „ატლეტიკო" (ესპანეთი), 1963 წ. — ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ინგლისი), 1964 წ. — ლისაბონის „სპორტინგი" (პორტუგალია), 1965 წ. — ლონდონის „ვესტჰემ იუნაიტედი" (ინგლისი), 1966 წ. — დორტმუნდის „ბორუსია" (გფრ), 1967 წ. — მიუნხენის „ბაიერნი" (გფრ), 1968 წ. — „ფკ მილანი" (იტალია), 1969 წ. — ბრატისლავის „სლოვანი" (ჩეხოსლოვაკია), 1970 წ. — „მანჩესტერ სიტი" (ინგლისი), 1971 წ. — ლონდონის „ჩელსი" (ინგლისი), 1972 წ. — „გლაზგო რეინჯერსი" (შოტლანდია), 1973 წ. — „ფკ მილანი" (იტალია), 1974 წ. — „ფკ მაგდებურგი" (გდრ), 1975 წ. — კიევის „დინამო" (სსრ კავშირი), 1976 წ. — ბრიუსელის „ანდერლეხტი" (ბელგია) და 1977 წ. — „ჰამბურგერ შპორტფერაინი" (გფრ).

და აი, იწყება ამ თასის ახალი, 1977-78 წლების გათამაშება.

საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი — მოსკოვის „დინამო" მეთექვსმეტედფინალში ხვდება მალტის „ლა ვალეტას". თქმა არ უნდა, ამ შეხვედრაში ძალები უთანაბრო იქნება. მაინც, მიმომხილველები იხსენებენ, რომ მალტელი ფეხბურთელები საკუთარ მინდორზე ზოგჯერ სახიფათონი არიან ხოლმე. 2 წლის წინ მალტის ნაკრებმა, რომელიც თითქმის მთლიანად „ლა ვალეტას" მოთამაშეებისგან შედგებოდა, ევროპის პირველობაზე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია მსოფლიო ჩემპიონებს — გფრ-ის ნაკრებს და მხოლოდ მინიმალური ანგარიშით წააგო — 0:1. ბრძოლის სიმწვავეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამ მატჩში გფრ-ის ნაკრების კაპიტანმა ბეკენბაუერმა გაფრთხილება მიიღო უხეშობისთვის.

პირველ ტურში მოსალოდნელია რამდენიმე მძაფრი შეხვედრა. „სენტ-ეტიენი", რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ საფრანგეთის ნაკრების ბირთვს წარმოადგენდა, „მანჩესტერ იუნაიტედს" ხვდება. „მანჩესტერ იუნაიტედი", რომელსაც ახლა ისევ მიიჩნევენ ინგლისის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად, ერთი თვისებით გამოირჩევა: თითქმის მთლიანად შედგება... შოტლანდიელებისგან.

„პორტო" (პორტუგალია) თავის მინდორზე ხვდება „ფკ კიოლნს". გერმანელთა კლუბში უნდა აღინიშნოს დიდად შედეგიანი ცენტრალური თავდამსხმელი დ. მიულერი. მას მამამისმა, დიდმა მრეწველმა, მოზრდილი ქონება დაუტოვა, მაგრამ ახალგაზრდა დიტერმა განაცხადა, რომ თავის მეტოქეებად მრეწველები კი არ მიაჩნია, არამედ სნაიპერები, განსაკუთრებით კი გერდ მიულერი, რომელსაც რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა გაუსწროს ჩემპიონატის პირველი ბომბარდირის პრიზისთვის ბრძოლაში.

ბეტისის „რეალს", რომელმაც თავი გამოიჩინა ესპანეთის ბოლო ჩემპიონატში, ეთამაშება „ფკ მილანი". „მილანის" საქმეს კვლავ დაუბრუნდა მრავალნაცადი როკო. მას მაშინ იხსენებენ ხოლმე, როცა „მილანის" საქმე ცუდადაა და მყისვე ივიწყებენ, როდესაც გუნდი წარმატებას აღწევს. როკომ დაიყოლია სახელგანთქმული რივერა ერთი სეზონი კიდევ ითამაშოს, რათა გუნდს რეალური დახმარება გაუწიოს. დიდ ინტერესს იწვევს „გლაზგო რეინჯერსისა" და „ტვენტეს" შეხვედრებიც

ისევე, როგორც ჩემპიონთა თასზე, შეჯიბრების ორგანიზატორებმა გამოიყენეს ფავორიტების განთესვის პრინციპი. ამიტომ, სავსებით შესაძლებელია ზოგ შეხვედრას პირველ ტურში ფორმალური მნიშვნელობა ექნეს. თასის მფლობელი — „ჰამბურგერ შპორტფერაინი" პირველივე ტურიდან ებმება ბრძოლაში, მაგრამ მის 2 მატჩს „რეიპასთან" (ფინეთი) საწვრთნელი შეხვედრების მნიშვნელობა თუ ექნება — ძალები ერთობ უთანაბროა. „ჰამბურგი" ისედაც მძლავრი კოლექტივი იყო და ახლა კი იუგოსლავიის ნაკრების მცველის ბულიანისა და განთქმული ინგლისელი თავდამსხმელის კიგანის დამატებამ მისი შანსები კიდევ უფრო გაზარდა. ეს გუნდი ეცდება შეინარჩუნოს თასების მფლობელთა თასი, თუმცა მას კონკურენციას გაუწევენ „ანდერლეხტი", „სენტ-ეტიენი", „მანჩესტერ იუნაიტედი", „გლაზგო რეინჯერსი", „ტვენტე", „მილანი", „აუსტრია", მოსკოვის „დინამო" და სხვა ძლიერი გუნდები.

გ. თორელი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14; 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71;
93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-57; წერილების
— 93-97-54; კორექტორები — 93-97-40; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12307